# საქართველოს პრეზიდენტის
# განკარგულება

N 15/10/02 2012 წლის 15 ოქტომბერი ქ. თბილისი

**„საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის (მეურვის) კანდიდატის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 10 ოქტომბრის N10/10/06 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის $3^1$ პუნქტის შესაბამისად, „საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის (მეურვის) კანდიდატის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 10 ოქტომბრის N10/10/06 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. 2012 წლის 11 ოქტომბრიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრის (მეურვის) ერთი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.".

მიხეილ სააკაშვილი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი "საზოგადოებრივი მაუწყებელი"
"16" 10 2012
№ 3421/04